MES 9 21 0001382458

17/12/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 03.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი (I, II, III, IV, V)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (VI, VII)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
13. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
15. **ნინო ჭალაღანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გიორგი ღავთაძე	**შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისეუ**	ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით	I
2	გოდერძი ბუჩაშვილი	**შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისეუ**	ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით	I

3	ლევანი კალანდარიშვილი	**შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისეუ**	ვიცე-რექტორი ფინანსებისა და რესურსების მიმართულებით	I
4	მალხაზ ღვინჯილია	**შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისეუ**	ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	ნონა ზუმბაძე	**შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისეუ**	ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	I
7	გია ნოდია	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	გიორგი გვალია	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ვიცე რექტორი	II
9	დავით აფრასიძე	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი	II
10	ნინო ჟვანია	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	II, III
11	ეკატერინე კვინიკაძე	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
12	ნინო მატარაძე	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	II
13	მაკა ლაშხია	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	II
14	გიორგი ოდოშაშვილი	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	აკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალოსტი	II
15	დავით თარხნიშვილი	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	III
16	არჩილ მაღალაშვილი	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი	III
17	ზურაბ ჯავახიშვილი	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი	III
18	მიხეილ ელაშილი	**სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი	III

19	თეა გოდოლაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
20	ალექსანდრე სიჭინავა	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
21	ტარიელ კიკვაძე	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	IV
22	დალი სეხნიაშვილი	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	IV
23	დავით მახვილაძე	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
24	ირინე მამალაძე	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	ფაკულტეტის მენეჯერი, პროფესორი	IV
25	ელენე მენაბდე	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	IV
26	მერაბ ძნელაძე	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V
27	გივი ინანიშვილი	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	V
28	თამარ ხოხობიშვილი	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათაფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი	V
29	ნოდარ ფოფორაძე	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	V
30	ვაჟა სადრაძე	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V
31	მანანა აბუთიძე	სსიპ საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V
32	კახა შენგელია	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის პრეზიდენტი	VI, VII
33	ნუგზარ სხირტლაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	VI, VII
33	დიანა მჭედლიშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	VI, VII
35				VI, VII

	დავით ნატროშვილი	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	უმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	
36	მაია მაჭავარიანი	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	ფსიქოლოგიის საბაკალვარო პროგრამის ხელმძღვანელი	**VI, VII**
37	ნინო ჟიჟილაშვილი	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	მედიის სკოლის დეკანი	**VI, VII**
38	ნატო ასათიანი	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	სტრატეგიული კომუნიკაციისსამაგისტროპროგრამის ხელმძღვანელი	**VI, VII**
39	თამარ შენგელია	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი	**VI, VII**
40	თამარ ჩოკორაია	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	აკადემიური წერის ცენტრის ხელმძღვანელი	**VI, VII**

აკრედიტაციის ექპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	რუსუდან სეთურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ფიქრია ასანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნიკა ჩიტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, IV
9	ანა ხეცურიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	შალვა კელეპტრიშილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	გიორგი ბრეგვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ირაკლი ნოდია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	მარინა ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	ეკატერინე მიქელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	ემზარ კახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
18	კონსტანტინე ფირცხელაური	(ჩაერთო „ზუმით“)	V
19	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
20	ნანა ფირცხელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
21	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
22	ნანა ბურდული	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
23	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

24	სოფიკო შარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
25	ლელი ბიბილაშილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
26	ქეთევან ჩეკურიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
27	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციი დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს - "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკთხის განხილვა;
2.სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6.შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7.შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,სტრატეგიული კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:
არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს - "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკთხის განხილვა;
2.სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6.შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7.შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,სტრატეგიული კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი : შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს - "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკთხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N38, 19.03.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა N17, თბილისი, 0144 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სსაბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკა ლეკაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ,,ტურიზმი" მოქმედებს პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 19 მარტის N38 გადაწყვეტილების საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 4 აკადემიურ წელს. 136 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო კურსებს, 13 ECTS კრედიტი - სპეციალობის არჩევით კურსებს, 12 ECTS კრედიტი საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებს, 30 ECTS კრედიტი საუნივერსიტეტო სავალდებულო უცხო ენის ბლოკს (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური) და 49 ECTS კრედიტი თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსებს. სპეციალობის სავალდებულო კურსების ნაწილში 6-6 ECTS კრედიტით წარმოდგენილია პრაქტიკა ტურიზმში და საბაკალავრო ნაშრომი ტურიზმში. საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა მოქმედებს 2010 წლიდან და იგი უნივერსიტეტისთვის პრიორტეტული მიმართულებას წარმოადგენს. უნივერსიტეტში განხორციელდა ტურიზმის მიმართულებით შრომის და განათლების ბაზრების კვლევა, სადაც გამოვლინდა წარმოდგენილ სფეროში კვალიფიციური კადრების

მომზადების საჭიროება. კვლევის შედეგების და აკრედიტაციის საბჭოს პირობითი აკრედიტაციის მინიჭების დროს გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა გადამუშავდა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ. პროგრამის გადამუშავებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლები. პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდა ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროსების კლასიფიკატორთან“.

ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლების ენა არის ქართული. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი. პროგრამას ბოლო 5 წლის განმავლობაში ჰყავს ჩარიცხული 1915 სტუდენტი, რომელთაგან 4 სტატუსშეწყვეტილია - 140, სტატუსშეჩერებული - 774, 121 კურსდამთავრებულია და 717 აქტიური სტუდენტი. პროგრამაში ჩართულია 49 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 17 აფილირებულია. 2020 წელს კურსდამთავრებულთა 73% დასაქმდა, მათგან 41% კვალიფიკაციის მიხედვით. 8 %-მა გააგრძელა სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებული და დამსაქმებლები. პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა.

ეკა ლეკაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა შერეული ფორმატით, 28 ოქტომბერს - დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხოლო 29 ოქტომბერს - ადგილზე ვიზიტის საფუძველზე. დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს - "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების ფორმულირების დახვეწა „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მოთხოვნების გათვალისწინებით;
2. რეკომენდებულია, გადაისინჯოს/გადამოწმდეს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე - ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი, ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება, ღონისძიებათა მენეჯმენტი;
3. რეკომენდებულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან: ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება, ტურიზმის სტატისტიკა, გეოინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ღონისძიებების მენეჯმენტი - წარმოდგენილი იყოს, როგორც სავალდებულო და არა არჩევითი კომპონენტი.
4. რეკომენდებულია აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნონა ზუმბაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მოხდა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება.

პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით, ნონა ზუმბაძემ აღნიშნლა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში მოხდა ჩანაწერის დაზუსტება.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ნონა ზუმბაძემ განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტის წინაპირობად განისაზღვრა ტურიზმის მენეჯმენტი, ტურიზმის სამართლებრივი რეგულირების წინაპირობად - ტურიზმის საფუძვლები, ხოლო ღონისძიებათა მენეჯმენტის სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა დარჩა უცვლელად, კურსის განმახორციელებლებთან მსჯელობისა და შეთანხმების საფუძველზე.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში გათვალისწინებულია ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც აუცილებელია ამავე პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით სასწავლო კურსი ,,ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება“ არჩევითიდან გადავიდა სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში, ხოლო ,,ტურიზმის სტატისტიკა“, ,,გეოინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“ და ,,ღონისძიების მენეჯმენტი“ უცვლელად დარჩა არჩევითი სასწავლო კურსის ბლოკში.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა. ამის დასტურია, ბოლო 2 წლის განმავლობაში აფილირებული პერსონალის რაოდენობის ზრდა 60%-ით. ყოველწლიურად ცხადდება აკადემიური კონკურსები და მუდმივად ხდება ახალი აფილირებული პერსონალის დამატება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი სრულიად იზიარებს დაწესებულების პოზიციას ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებთან მიმართებით, ვინაიდან ის ძირითადი აუცილებლობა, რაც განსაზღვრული იყო რეკომენდაციაში შეცვლილია. დარჩენილი ნაწილი, ღონისძიების მენეჯმენტთან მიმართებაში, პროგრამის განვითარების პროცესში, როდესაც მოხდება სამიზნე ნიშნულების შესწავლა დაწესებულება იმსჯელებს და შემდგომ მიიღებს გადაწყვეტილებას რეკომენდაციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:28

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:
1. მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების ფორმულირების დახვეწა „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მოთხოვნების გათვალისწინებით;
2. რეკომენდებულია, გადაისინჯოს/გადამოწმდეს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე - ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი, ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება, ღონისძიებათა მენეჯმენტი;
3. რეკომენდებულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან: ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება წარმოდგენილი იყოს, როგორც სავალდებულო და არა არჩევითი კომპონენტი;
4. რეკომენდებულია აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა;

რჩევები:
5. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების: ტურიზმის სტატისტიკა, გეოინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ღონისძიებების მენეჯმენტი- სტატუსი;
6. სასურველია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად ლიტერატურას მიეთითოს გვერდების სრული რაოდენობა, აკადემიური წერის პრინციპების დაცვით;
7. სასურველია, ჩატარდეს პროფილური კვლევა სტუდენტების სწავლის დემოტივაციასთან დაკავშირებით;
8. სასურველია გადამუშავდეს და განახლდეს პროგრამაში ჩართულ ზოგიერთ პერსონალზე CV-ში მოცემული ინფორმაცია;
9. სასურველია, აკადემიური პერსონალის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლების გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია.

მეორე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N85 გადაწყვეტილება 9/30/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციალური მეცნიერებები (პოლიტიკის მეცნიერებები, სოციოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო (უნივერსიტეტის A, B, C და D კორპუსები)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ელენე ჟურავლიოვამ თვითაცილება განაცხადა მეორე საკითხთან მიმართებით. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათ ლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ფიქრია ასანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ინსტიტუციაში ვიზიტი განხორციელდა ონლაინ პლატფორმა ზუმის საშუალებით. პირველ შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. რომელიც წარმოდგენილი იყო უსდს ვიცე რექტორებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსით და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანით. საუბარი შეეხო საბაკალავრო პროგრამის “პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” მნიშვნელობას, როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული

საგანმანათლებლო სივრცისთვის. ვიცე რექტორმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამაში ჩართულნი არიან საქართველოში ცნობილი დარგის სეციალისტები და მაღალკვალიფიცური პროფესიონალები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მოთხოვნადობასა და მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად თაანამშრომლობს უცხოურ უნივერსიტეტებთან, მონაწილეობს გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში, რაც ზრდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ჩართულობის ხარისხს.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2011 წლიდან. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პროგრამა მოდიფიცირდა და მასში შემავალი სამივე მიმართულება ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ საბაკალავრო პროგრამებად. პოლიტიკის მეცნიერების შემთხვევაში პროგრამა ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი საბაკალავრო პროგრამა “პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)”; ძირითადი და დამატებითი სპეციალობის ფორმატი დარჩა უცვლელი, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოდიფიცირდა პროგრამის ფოკუსის გათვალისწინებით და არის პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი. ამჟამად საგანმანათელბლო საბაკალავრო პროგრამაში „პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეცილობა)“ მოდიფიცირების პროცესში შევიდა რიგი ცლილებები: განახლდა პროგრამის მიზნები, შეიცვალა და განახლებული მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები, სტრუქტურა და კომპონენტების შინაარსი, შემუშავდა პროგრამის რუკა გარდა ამისა, განახლდა, გამრავალფეროვნდა და გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ საგანმანათელბლო საბაკალავრო პროგრამის პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეცილობა,) დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. აქედან 120 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს, თავისუფალი კომპონენტი: 3 ზოგადი მოდული შეადგენს 60 კრედიტს და თავისუფალი კომპონენტი: დამატებითი სპეციალობა ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტია.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელების მიზნით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გათვალისწინებული იქნას სწავლის შედეგის მიღწევის დონისა და სასწავლო კურსების სირთულის (1. გაცნობითი კურსი, 2-გამაღრმავებელი კურსი, 3- განმამტკიცებელი კურსი) მიხედვით დიფერენცირება;
2. სასურველია დარგობრივი ინგლისურის კომპონენტის გაძლიერება პროგრამაში;
3. ახალი პროგრამის შეთავაზების შემთხვევაში, სასურველია, რომ წინასწარ გაწერილი იყოს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი მე-11 და მე-12 კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ ახალი პროგრამის შესახებ;
4. ილიას უნივერსიტეტმა ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა იზრუნონ უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხის მფლობელთა კიდევ მეტ მოზიდვასა და ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე;
5. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რეკომენდებულია რომ გამოცემულ იქნეს ქართულენოვანი ლიტერატურა უშუალოდ პროგრამაში ჩართულ მეცნიერთა ავტორობით;
6. სასურველია თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ იქნეს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი;
7. სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფის აზრით, აღნიშნული რეკომენდაცია რჩევის ხასიათისაა, იქიდან გამომდინარე, რომ საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის არსებული სტანდარტი არ ითხოვს რეკომენდაციაში იდენტიფიცირებულ მოდელს კომპეტენციათა რუკის შემუშავებისთვის. შესაბამისად, დაწესებულებას მიაჩნია, რომ პროგრამის სწავლის, შედეგების რუკის განსაზღვრაში პროგრამას აქვს სრული აკადემიური თავისუფლება. გარდა ამისა, პროგრამის კონცეპტუალური სტრუქტურა და კურსების თანმიმდევრობა ითვალისწინებს გრადაციას მარტივიდან - რთულამდე. პროგრამაში გათვალისწინებულია შესავალი კურსები, რომლებიც სავალდებულო ხასიათისაა, ეს კურსები შეთავაზებულია სწავლების საწყის სემესტრებში და უკავშირდება სწავლის გარკვეულ საბაზისო დარგობრივ შედეგს. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ისეთ სავალდებულო-არჩევით და არჩევით დარგობრივ კურსებს, რომლებშიც ეტაპობრივად კუმულირდება დარგობრივი ცოდნა და უნარები, ხდება მათი გაღრმავება და განმტკიცება

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამხვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რჩევაზე და აღნიშნა, რომ დარგობრივი ინგლისურის გაძლიერებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ,,ზოგადი მოდულის'' ფარგლებში სთავაზობს სტუდენტებს ინგლისური ენის 4 კურსს (24 კრედიტი), პროგრამის ჯგუფი სრულიად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას დარგობრივი ინგლისური ენის კურსის

დამატებას პროგრამაში და ამით კიდევ უფრო შეუწყოს ხელი სტუდენტთა კონკურენტრუნარიანობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ისუაბრა სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე პროგრამას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული სავალდებულო სასწავლო კურსები რა დონეზე და რა სტატუსით გადიან სწავლის შედეგებზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო მცირე ზომის კვლევები, როგორიცაა მაგალითად კმაყოფილების კვლევა და კურსდამთავრებულთა კვლევა. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნული დოკუმენტების ერთობლიობა წარმოადგენს შრომის ბაზრის კვლევას, თუ დაწესებულების მიერ ასევე განსაზღვრული და წარმოდგენილია სხვა დოკუმენტიც.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ ყურადღება გაამხვილა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, რომლებიც მისი მოსაზრებით საკმაოდ ფართოდ იყო მოცემული. ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესავალ კურსებში უკვე წარმოდგენილი იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა. თეონა მატარაძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუცია იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რჩევას დარგობრივი ინგლისურის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რამდენად ექნება სტუდენტს შესაბამისი ცოდნა, რომ თავისუფლათ დაძლიოს ინგლისურნეოვანი სახელმძღვანელოები. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, შინაარსით სხვა რამ არის გათვალისწინებული, ხოლო სასწავლო მასალა მისგან განსხვავებულია მოცემული.

საბჭოს წევრმა თეონა მატარაძემ დამატებით აღნიშნა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსებში, კვლევის მეთოდების მხოლოდ ერთი კურსია განსაზღვრული, თუმცა მე-11 კვირიდან არის კონსულტაციები და შესაბამისად, არ გვხვდება შინაარსობრივი თემატიკა. გარდა ამისა, აქცენტირება არ ხდება ანალიზზე, ისწავლება მხოლოდ მეთოდები. აღსანიშნავია, რომ ,,საქართველოს პოლიტიკური სისტემის“ ლიტერატურაში ძირითადად გვხვდება სამართლებრივი დოკუმენტაცია, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად უზრუნველყოფს მოცემული, რომ სტუდენტმა შეისწავლოს საქართველოს პოლიტიკური სისტემები და ძირითადი მიდგომები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ცალკეული სილაბუსები სხვადასხვა ფორმატით არის წარმოდგენილი. ზოგ სილაბუსში სწავლის შედეგები ძველი პრინციპით არის ფორმულირებული. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, თუ სახეზეა ინსტიტუციის სფეციფიკური დამოკიდებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დოკუმენტებში წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების კვლევები, რომლებიც დაწესებულებამ ჩაატარა დამსაქმებლებთან, რაც წარმოადგენს ჩაღრმავებულ თვისობრივ კვლევებს. დამსაქმებლები შერჩეული იქნა რამდენიმე კრირეტრიუმის მიხედვით. ძირითადი მიზანი იყო, რომ მაქსიმალურად რეპრეზენტაბელური

ყოფილიყო შესაძლო დასაქმების სფეროები და ინსტიტუტები. ფოკუს ჯგუფების ძირითადი მიზანი იყო ის, რომ დაწესებულებას მიეღო ინფორმაცია, თუ რა ტიპის უნარები და ცოდნა სჭირდებათ სტუდენტებისგან. კვლევის ფარგლებში კი გამოიკითხა შვიდი ინსტიტუცია.

რაც შეეხება ინგლისურენოვანი ლიტერატურის საკითხს, პროგრამის ფარგლებში ზოგადი მოდულის მიხედვით ინგლისური ენა ისწავლება ოთხი სემესტრის განმავლობაში. მნიშვნელოვანია ასევე კვლევის მეთოდების საკითხი, კერძოდ პროგრამაში ნამდვილად ერთი კურსია გათვალისიწინებული თვისობრივ კველვის მეთოდებთან დაკავშირებით, თუმცა ასევე ზოგადი მოდულის ფარგლებში ყველა პირველკურსელი სტუდენტი, პროგრამის მიუხედავად სწავლობს სტატისტიკას, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსს, შესაბამისად, პროგრამით იფარება თვისობრივი კვლევის მეთოდები, თუმცა ზოგად მოდულში სტუდენტები სწავლობენ სტატისტიკის ზოგად მიდომებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე, ,,საქართველოს პოლიტიკური სისტემების" სასწავლო კურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაში ცალკე კურსად არის გათვალისწინებული ,,პოლიტიკის შესავალი", რაც სტუდენტს აძლევს ზოგად ცოდნას, პოლიტიკური სისტემებისა და რეჟიმების შესახებ. ხოლო ზემოაღნიშნული სასწავო კურსი უშუალოდ ორიენტირებულია საქართველოს პოლიტიკური სისტემების შესწავლაზე.

რაც შეეხება პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგებს, დაწესებულება მიჩნევს, რომ შედეგები კუმულირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი და უფრო ზოგადად უნდა იყოს განსაზღვრული. სწავლის შედეგების ჩამოყალიბების დროს დაწესებულება სარგებლობს სხვადასხვა მახასიათებლებით და ხელმძღვანელობს უკვე არსებული პრაქტიკით, რადგან მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული იყოს იმდენად კუმულირებული სახით, რომ მათი შეფასება იყოს შესაძლებელი. პროგრამის სწავლის შედეგებში ჩამოთვლილია ყველა ძირითადი კომპეტენცია. აღსანიშნავია ასევე, რომ სწავლის შედეგები არის გაზომვადი.

მნიშვნელოვანია ასევე სილაბუსების ერთგვაროვნების საკითხი, ცხადია, დაწესებულებას აქვს ერთიანი ფორმატი, თუმცა გარკვეულ კურსებთან მიმართებით ლექტორს ეძლევა აკადემიური თავისუფლება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:57
დასრულების დრო: 15:14

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება. 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელების მიზნით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გათვალისწინებული იქნას სწავლის შედეგის მიღწევის დონისა და სასწავლო კურსების სირთულის (1. გაცნობითი კურსი, 2-გამაღრმავებელი კურსი, 3-განმამტკიცებელი კურსი) მიხედვით დიფერენცირება;
2. რეკომენდირებულია დარგობრივი ინგლისურის კომპონენტის გაძლიერება პროგრამაში;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „ საქართველო პილიტიკური სისტემები“ გადაიხედიოს სავალდებულო ლიტერატურა და გამრავალფეროვნდეს კურსის თემატიკისთვის რელევანტური სახელმძღვანელოებით;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“ გაძლიერდეს მონაცემთა ანალიზის კომპონენტები შემდგომში კვლევითი უნარების გაძლიერებისა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით;

რჩევები:
5. ახალი პროგრამის შეთავაზების შემთხვევაში, სასურველია, რომ წინასწარ გაწერილი იყოს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი მე-11 და მე-12 კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ ახალი პროგრამის შესახებ;
6. სასურველია, რომ ილიას უნივერსიტეტმა ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა იზრუნონ უშუალოდ პოლტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხის მფლობელთა კიდევ მეტ მოზიდვასა და ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე;
7. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით რეკომენდებულია რომ გამოცემულ იქნეს ქართულენოვანი ლიტერატურა უშუალოდ პროგრამაში ჩართულ მეცნიერთა ავტორობით;
8. თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ იქნეს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი;
9. სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

მესამე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დედამიწის შემსწავლელის მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	48 ECTS
14	განხორციელების ადგილი	ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის H, G, T და E კორპუსები.
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ელენე ჟურავლიოვამ თვითაცილება განაცხადა მესამე საკითხთან მიმართებით. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პ როგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შალვა კელაპტრიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული საჭირო რესურსების არსებობა. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი მიგნებები. ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ ატმოსფეროში, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა იყო თანამშრომლობითი და კონსტრუქციული

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. დაკორექტირდეს სამიზნე ნიშნულების რუკა;
2. გასწორდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ინჟინერიის სფეროების მიმართულებით;
3. შესაბამისობაში მოვიდეს ზეპირი გამოცდის შეფასება პროგრამის კურიკულუმში და სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურებსა და შეფასების სისტემაში;
4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში დაკორექტირდეს სადოქტორო ნაშრომის წარდგენის ვადები;
5. სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
6. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 1 1 მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ასისტირების კომპონენტი მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს და არა მხოლოდ აუდიტორიაში სწავლებას. თითოეული დოქტორანტის ასისტირების გეგმა და აქტივობების წილი განისაზღვრება მისი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამისად, ცოდნის აუდიტორიაში ტარნსფერის უნარის გამომუშავების დადასტურება უფრო სარწმუნოდ ხდება „TSDC ტრენინგის" წარმატებით დამთავრებით. აქვე აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) მიერ შეთავაზებული ტრენინგები, რომელიც ეხება აქტიური სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებს, წარმოადგენენ პროგრამის კურიკულუმის ნაწილს და აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ის არ შედის პროგრამის შემადგენლობაში, არის ფაქტობრივი უზუსტობა. შესაბამისად, ინსტიტუცია მოცემულ რეკომენდაციას არ ეთანხმება.

ნინო ჟვანიამ ყურადღება გაამახივლა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაზე ვადებთან დაკავშირებით, კერძოდ ექსპერტების რეკომენდაცია ეხება პროგრამის სასწავლო გეგმის ცხრილში სადოქტორო ნაშრომის წარდგენის სემესტრულ მონიშვნაში ტექნიკური ხარვეზის არსებობას. მან დამატებით განმარტა, რომ დოკუმენტში ხარვეზი აღმოიფხვრა და ცხრილში ნათლად აისახა, რომ სადოქტორო ნაშრომის წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მე-6 სემესტრიდან.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ პროგრამის სასწავლო კურსებში განსაზღვრული სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რაც დასტურდება ამავე კურსების სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში არსებული შეფასების კომპონენტებითა და კრიტერიუმებით. მან დამატებით აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების განსაზღვრისას სტანდარტი სავალდებულოდ არ ითვალისწინებს ზმნების ტიპების და გრამატიკული დროების სტანდარტიზაციას. გარდა ამისა, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკები და ანალოგები არ ითვალისწინებს სწავლის შედეგების ფორმულირებას ზმნების კონკრეტული ტიპების და მათი მხოლოდ აწმყო დროში გამოყენებას.

მეექვსე რეკომენდაციასთან მიმართებით, ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ პროგრამის სილაბუსებში მოცემული შეფასების სისტემები ინდივიდუალურადაა შემუშავებული კურსის ავტორების მიერ, ეფუძნება კონკრეტული კურსის სპეციფიკას, ლექტორების მრავალწლიან გამოცდილებასა და სილაბუსების შემუშავებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში არსებულ რეკომენდაციებს. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტება გააკეთეს შეფასების კრიტერიუმების "დეტალიზაციასა" და "გამჭვირვალობის" შესახებ: დეტალიზაციასთან მიმართებაში სტანდარტი არ აწესებს რაიმე კონკრეტულ მოთხოვნებს. იგივეს გვიჩვენებს საერთაშორისო გამოცდილება, როდესაც გამოიყენება როგორც ერთ ქულამდე გაწერილი შეფასებები, ასევე ქულათა დიაპაზონები, რომელთა შეფასების კრიტერიუმებიც განსაზღვრავს მინიჭებული ქულების ქვედა და ზედა ზღვარს. პროგრამის სილაბუსებში მეტწილად გამოყენებულია მრავალკომპონენტიანი გრადაციის სისტემა, რომელიც ეფუძნება ობიექტურ პარამეტრებს. შესაბამისად, გრადაციის ბიჯი განპირობებულია კრიტერიუმების კომბინაციით. სილაბუსებში გამოყენებული შეფასების სისტემები სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია არგუსის სისტემაში, მოყვანილი კრიტერიუმები დეტალურადაა აღწერილი და სტუდენტისთვის გასაგებია, რაზეც პირდაპირ მიუთითებს გასაჩივრების ძალიან დაბალი მაჩვენებელი. ასევე აღსანიშნავია, რომ ექსპერტის მიერ დამოწმებული მე-3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში არ არის მოთხოვნა დეტალიზაციის შესახებ. კერძოდ, მითითებულია, რომ "შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით", ხოლო ბრძანებაში საერთოდ არ ფიქსირდება მე-11 მუხლის "მ" პუნქტი. შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმება 2.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში ექსპერთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააზუსტა, თუ რამდენად არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა ერთმანეთთან დაკავშირებული. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ სადოქტორო ნაშრომებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებთ და დააზუსტა გვაძლევს თუ არა 4 ადამიანთან ერთი საათის განმავლობაში გასაუბრება ვალიდურ შედეგებს. გარდა ამისა, ბიუჯეტი არის დეფიციტური, რაც პრობლემას არ წარმოადგენს თუმცა ვხვდებით შემდეგ წარწერას, რომ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სეისმოლოგიურ ცენტრში ასევე არის გათვალისწინებული თანხები. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა ცალკე მუხლად არის თუ არა გათვალისიწინებული აღნიშნული საკითხები უწყების ბიუჯეტში.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის დასწრების წინაპირობებში მოცემულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ნებისმიერი სწავლის სფეროს სტუდენტი, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებში გამოყენებულია ძველი ზმნები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ პროგრამაზე ფუნქციონირებს დაწესებულების ცენტრალური ბიჯეტი. რაც შეეხება კვლევით პროექტებს აღნიშნული მუდმივად სრულდება დოქტორანტებისა და კვლევაში ჩართული სტუდენტების მიერ. აქედან გამომდინარე, კონკრეტულად გაწერილი ბიუჯეტი არის არარელევანტური, ვინაიდან პროცესი არის დინამიური. მნიშვნელოვანია ასევე, რომ სტუდენტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია როგორც მატერუალურ უზრუნველყოფაზე, ისე პასუხისმგებელია თემის აქტუალობასა და შესაბამისობაზე იმ კვლევასთან, რომლებიც მიმდნარეობს უნივერსიტეტში. ამრიგად, ვინაიდან დაწესებულებას აქვს მულტიდისციპლინარული მიდგომები, მიღების წინაპირობების კუთხითაც არ არსებობს დაბრკოლება და დაწესებულებას საბუნებისმეტყველო მიმართულებით ნებისმიერი სტუდენტის მიღება შეუძლია, მაგალითად ბიოლოგების ან თუნდაც პალეონტოლოგების. აქვე მნიშვნელოვანია დაზუსტეს, რომ დედამიწის შემსწავლელი ინსტუტუტი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, შესაბამისად წარმოადგენს ერთ ორგანიზაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ის ფოკუს ჯგუფი, რომელიც იყო შეკრებილი კვლევის ფარგლებში წარმოადგენს პრაქტიკულად ყველა მიმართულებას რომელიც არსებობს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა მიმართულებით. ეს არის ყველა სახელმწიფო უწყება, რომელსაც ინტერესი აქვს ამ მიმართულებით, ასევე კერძო ორგანიზაციები და რაც ყველაზე მთავარია, თავად დაწესებულებაც და ინსტიტუციაც წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ დამსაქმებელს. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში პრაქტიკულად დაიფარა მთელი სპექტრი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროფესორები მუდმივად არიან ჩართულნი გარე კვლევებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში, აქედან გამომდინარე, ისინიც თავად წარმოადგენენ რიგ შემთხვევებში პოტენციურ დამსაქმებლებს. შესაბამისად ბაზრის მოთხოვნები დაწესებულების მიერ სრულიად არის გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შალვა კელაპტრიშვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე პროგრამებმა განიცადეს ცვლილება, ადრე გათვალისწინებული იყო სხვადასხვა მიმართულებები, ახლა კი მოხდა გაერთიანება და პროგრამები წარმოდგენილია ერთიანი ფორმით. რაც შეეხება მათ ბმას, აღნიშნული არის საკმაოდ ლოგიკური და შესაბამისობაშია აღმწერთან.

რაც შეეხება სადოქტორო ნაშრომების საკითხს, პროგრამა წარმოდგენილია ახალი პროგრამის სახით, შესაბამისად დაწესებულების მხრიდან არ იყო მოწოდებული სადოქტორო ნაშრომები. თუმცა ის დოკუმენტაცია რაც დაწესებულების მიერ იყო წარმოდგენილი იძლეოდა იმის დადგენის შესძლებლობას, რომ ბოლო 6 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაიწერა მხოლოდ ორი სადისერტაციო ნაშრომი, რომელთაგან ერთ-ერთი დაწერილია პროგრამის მოქმედი პროფესორის მიერ.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაგრამ მათი ნაწილი არ იძლევა დაკვირვების, გაზომვის შესაძლებელობას, აღწერილია სხვადასხვა დროში (მაგ. სტუდენტს აქვს კომპლექსური და სისტემური ცოდნა, იცის, ეცოდინება, აქვს ცოდნა, ექნება ცოდნა, შეუძლია, შეძლებს, აქვს მზაობა, განვითარებული აქვს). შესაბამისად, საჭიროა გასწორდეს ჩამოთვლილი შეუსაბამობები და კომპეტენციები გაიწეროს ისე, რომ იყოს გაზომვადი და შეფასებადი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ სწავლის შედეგი შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს სხვადასხვა ზმნებით, მათ შორის მომავალ დროში. მთავარია, რომ სწავლის შედეგი იყოს შეფასებადი და არსებობდეს კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლითაც ფასდება რელევანტური კომპეტენციები, რასაც ეწოდება გაზომვადი სწავლის შედეგი. დაწესებულება მუდმივად ცდილობს, სწავლის შედეგი ისე იყოს ჩამოყალიბებული, რომ არსებობდეს მისი შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:57
დასრულების დრო: 16:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ: 5.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:
1. დაკორექტირდეს სამიზნე ნიშნულების რუკა;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედგები გაიწეროს აწმყო დროში აქტიური ზმნების გამოყენებით მათი გაზომვადობის მიზნით;
3. გასწორდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ინჟინერიის სფეროების მიმართულებით;
4. შესაბამისობაში მოვიდეს ზეპირი გამოცდის შეფასება პროგრამის კურიკულუმში და სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურებსა და შეფასების სისტემაში;
5. საგანმანათლებლო პროგრამის ცხრილში დაკორექტირდეს სადოქტორო ნაშრომის წარდგენის ვადები;
6. სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
7. რეკომენდებულია,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 1^1 მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა;
8. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:
9. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
10. გასწორდეს ხარვეზი კურიკულუმის ცხრილში და დაემატოს სასწავლო კურსი „ასისტირება“;
11. სასურველია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა, სადაც კომპონენტების ჩამონათვალშია სამეცნიერო პუბლიკაციები და TSDC ტრენინგი, რომლებიც არაა კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები;
12. სასურვებლია კომპონენტისათვის „სამეცნიერო წერა დოქტორანტებისათვის“ დასკვნითი შეფასება ჩატარდეს კომისიური წესით;
13. მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი დაფინანსების წყაროები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N117328, 08.12.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 ECTS
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ მეოთხე საკითხთან მიმართებით თვითაცილება განაცხადეს, საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ
არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

16:30- საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ინასარიძემ

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მარინა ჩავლეიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას აღნიშნა, რომ 2021 წლის 6 ოქტომბერს, სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით 10:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, განხორციელდა ვიდეო ჩართვა, ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიიდან, აგრეთვე, ინტერვიუ ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამის თითოეული სტანდარტის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოზე. პროგრამამ გაიარა პირობითი აკრედიტაცია 2020 წელს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით და 1 წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. ამჯერად, პროგრამა წარმოდგენილია ხელახალ აკრედიტაციაზე. გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები და მოხდა მისი მოდიფიცირება.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ წინა აკრედიტაციასთან შედარებით პროგრამა მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული და მასში გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაციები, კერძოდ, დაზუსტებულია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები; სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან. დაწესებულების მიერ შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები; სრულყოფილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, კვლევითი პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდის საშულებით;

ცვლილებებია ასევე დოქტორანტურის დებულებაში, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები. სტუ-ს ვებ-გვერდის საშუალებით საჯარო და ხელმისაწვდომია დოქტორანტურასთან დაკავშირებული ყველა წესი, მათ შორის, დისერტაციის გაფორმები წესიც. მნიშვნელოვანია ასევე რომ ფაკულტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულია ტრენინგები (შეხვედრები) პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების გაცნობისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის ბიუჯეტში აისახოს დოქტორანტების კვლევების მხარდასაჭერად საჭირო დაფინანსება.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთის და აღნიშნა, რომ დაწესებლება სრულიად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაშ წარმოდგენილ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში დოკუმენტების მიხედვით გამოკითხულია შვიდი ადამიანი, მაგრამ ნამდვილად არ რჩება შთაბეჭდილება იმისა, რომ შრომის ბაზრის რეალური ანალიზია ჩატარებული. შესაბამისად, საჭიროა საკითხზე უფრო დეტალურად მოხდეს ყურადღების გამახვილება. რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დებულებას, მისი ერთ-ერთი პუნქტი განსაზღვრას სამეცნიერო სტატიის წარდგენის ვალდებულებას დისერტაციის დაცვამდე. აღნიშნული რა თქმა უნდა დადებით მხარეს წარმოადგენს, თუმცა საყურადღებოა ის, რომ არ არის განსაზღვრული სტატიის კრიტერიუმები.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ იგი დეტალურად გაეცნო წარმოდგენილ დაცულ დისერტაციებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ თავად ნაშრომების თემატიკა და საბოლოო დასკვნები აცდენილია ერთმანეთს. შესაბამისად, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშჟარიანმა აღნიშნა, რომ 2.4 ქვესტანდარტში ექსპერტებს წარმოდგენილი აქვთ სწორედ სტატიების იმპაქთ ფაქტორიან ჟურნალებში

გამოქვეყნებასთან დაკავშრებით რჩევა, შესაბამისად, საბჭოს თავმდჯომარემ დააზუსტა თუ რატომ არის აღნიშნული საკითხი განსაზღვრული არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახით. გარდა ამისა, კითხვის ნიშნებს აჩენს სადისერტაციო ნაშრომი, სათაურით - ,,შენობა ნაგებობების შეფასების თანამედროვე პრობლემები", მაშინ როცა საუბარია ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე. აქედან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ რამდენად რელევანტურია აღნიშნული საკვლევი თემა, სათაური და მიზანი. ასევე აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ნაშრომში 136 გამოყენებული ლიტერატურიდან 39 არის მხოლოდ ელქტრონული ლინკი. საუბარია ნაშრომებზე, რომლებიც შესრულებულია 2019-2020 წლებში. გარდა ამისა, ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურა არის საკმაოდ მოძველებული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ ნაშრომში ლიტერატურად გამოყენებულია პატრიარქის ეპისტოლე, შესაბამისად ლიტერატურასთან მიმართებით მნიშვნელოვანია დაზუსტებული პოზიციის მოსმენა.

აღსანიშნავია ასევე, რომ ცალკეული სასწავლო კურსები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობასთან დაკავშირებით არ არის არც რჩევა და არც რეკომენდაცია დაფიქსირებული, თუმცა პროგრამაში სწავლების მეთოდები, რომლებიც ცალკეულ სასწავლო კურსებშია ჩაშლილი ტოვებს გაურკვევლობას იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ხდება სასწავლო კურსის ფარგლებში მოცემული სწავლის შედეგების მიღწევა. ამ კუთხით აღსანიშნავია ,,სწავლების მეთოდების" სასწავლო კურსი, რომელიც გადის პროგრამის მე-4 და მე-5 სწავლის შედეგზე, რაც პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე აჩენს კითხვებს. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა, თუ როგორ ხდება პროგრამის ფარგლებში სადისერტაციო ნაშრომის შეფასება და ხელმძღვანელის როლი შეფასების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ ასევე აღნიშნა, რომ დასკვნაში გათალისიწინებულია ორი რჩევა ფინანსურ სახსრებთან დაკავშირებით. ერთი ეხება აკადემიური პეროსნალის მონაწილეობის მხარდასაჭერ ფინანსურ სახსრებს, ხოლო მეორე დოქტორანტების კვლევის მხარდასაჭერად საჭირო დაფინანსებას. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ არის აღნიშნული საკითხი განსაზღვრული არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მარინა ჩავლეიშვილმა ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ რეკომედნაციის სახით წარმოდგენილი ყოფილიყო დოქტორანტების კვლევის ფინანსური მხარდაჭერის საკითხი. რაც შეეხება აკადემიური პეროსნალის საკითხს, აღნიშნული რჩევის სახით განისაზღვა იქიდან გამომდინარე, რომ ინტერვიუების პროცესში გამოჩნდა, რომ აკადემიური პეროსნალი სარგებლობს ფინანსური მხარდაჭერით, თუმცა დოქტორანტებთან ინტერვიუების ფარგლებში სახეზე არ იყოს არც ერთი დოქტორანტი, რომელსაც მიუღია კვლევის პროცესში ფინანუსრი დახმარება დაწესებულებისგან.

რაც შეეხება მაღალრეიტინგულ სამეცნიეორ ბაზებთან დაავშირებით ექსპრტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ არ ჩათვალეს რომ აღნიშნულ საკითხს რეკომენდაციის სახე უნდა ჰქონოდა, თუმცა რა თქმა უნდა ექსპერტთა ჯგუფი იზიარებდა საბჭოს წევრთა მოსაზრებას.

მნიშვნელოვანია ასევე საბჭოს წევრთა მოსაზრება მე-2 სტანდარტთან დაკავშრებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სრულიად იზარებს საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის მოსაზრებას საკითხთან მიმართებით.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სადოქტორო ნაშრომებთან დაკავშრებით უნივერსიტეტს აქვს სპეციფიური მიდგომა. უნივერისტეტს აქვს გაფორმების სპეციალური წესი. გარდა ამისა, რიგ ნაშრომებში ძველი ლიტერატურის გამოყენებაც შეიძლება არ იყოს მიჩნეული ხარვეზად, ვინაიდან შესაძლებელია გამოყენებული იყოს შედარების მიზნით. რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალს საკმაოდ მსხვილმაშატბიანი პროექტი აქვთ განხორციელებული, რომელიც ეხებოდა უძრავი ქონების შეფასებას. დაწესებულებას შექმნილი აქვს დიდი ლაბორატორია, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს და ამ მიმართულებით მუშაობას დოქტორანტებსაც სთავაზობენ. ამ მიმართულებით ნაშრომებში წარმოდგენილი იყო ასევე ეკონომიკური ანალიზიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ უნივერისტეტს წარმოდგენილი აქვს შრომის ბაზრის კვლევა და ამ კუთხით მდგომარეობა სხვა პროგრამებთან შედარებით საკმაოდ გაუმჯობესებულია. თუმცა ინსტიტუცია სრულაიდ იზიარებს საბჭოს წევრთა მოსაზრებებს საკითხთან დაკავშირებით, რაც სამომავლოდ აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

რაც შეეხება დოქტორანტის მიერ დაცვამდე ნაშრომის გამოქვეყნების საკითხს, დებულების მიხედვით დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სამი ნაშრომი, მათ შორის ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს შესრულებული დამოუკიდებლად, ხოლო ერთი აუცილებლად უნდა იყოს გამოქვყენებული უცოხურ მაღალ რეიტინგულ და რეფერირებად გამოცემაში. საკითხთან დაკავშრებით არსებული მდგომარეობა ინსტიტუციას მისაღებად მიაჩნია, განსაკუთრებით ამ პროგრამის ფარგლებში განხცორციელებული ცვლილებების ფონზე,

დავით მახვილაძემ დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის გაუმქმების მიზეზი სწორედ დისერტაციები, მათი შინაარსი და სტრუქტურა იყო. პროგრამამ ფუნქციონირება განაგრძო პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში, შესაბამისად პროგრამაზე დაცული დისერტაცია ამ ეტაპზე არ არის. შესაბამისად, დაწესებულება პრაქტიკიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გაფორმებისა და შეფასების წესს, ასევე ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურასა და წყაროებს. გარდა ამისა, ხელმძღანელის ვალდებულებაა, რომ ნაშრომის შინაარსი იყოს რელევანტური და შესაბამისად წარმოდგენილი. ასევე გამკაცრდა შეფასების წესი, სტატისტიკის მიხედვით ნაშრომები უმეტეწილად ფასდებოდა უმაღლესი ქულებით, ხოლო ახლა დადებითი შეფასება შესაძლებელია ასევე უმაღლესი ქულის განსაზღვრის გარეშეც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დისერტაციებთან დაკავშირებული პრობლემები იურიდიულად უკვე მოცემულ პროგრამას აღარ ებმის.

რაც შეეხება ფინანსური სახსრების საკითხს, უნივერსიტეტის მოცემულობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით შემცირებულია თანხები კონფერენციებთან, მივლინენებთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით. შესაბამისად პროგრამულ ბიუჯეტშიც ამ კუთხით თანხები მინიმუმამდე არის დაყვანილი. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს ან პროფესორს არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა.

სწავლის მეთოდების სასწავლო კურსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ მე-4 სწავლის შედეგის მითითება წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, ვინაიდან შემხებლობა წარმოუდგენელია.

სადისერტაციო ნაშრომებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ასევე, რომ დოქტორანტურის დებულება არის მე-3 დანართი, რომელიც ადგენს კვლევითი ნაშრომის შეფასების წესს. 3.8 პუქნტი კი უშუალოდ განსაზღვრას შეფასების ნაწილს. შეფასებაში მაქსიმალურად დეტაურად არის აღწერილი შეფასების მექანიზმი და სუბიექტები. ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა წინ უსწრებს პრეზენტაციის ნაწილს, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის გარეშე შეუძლებელია დაცვაზე გასვლა. დოქტორანტურის თითოეულ სტუდენტს ეყოლება კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სწავლის დაწყებიდან ერთ თვეში, აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დოქტორანტურის დეპარტამენტში უნდა წარადგინოს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კანდიდატურები, რის საფუძველზეც დოქტორანტურის დეპარტამენტი ამზადებს ბრძანების პროექტს თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ; სადისერტაციო საბჭომ, აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით, დოქტორანტს შეიძლება დაუმტკიცოს ორი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); მათ შორის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, უფროსი ან მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი თანამშრომლობის ან ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში გაწერილია დოქტორანტურის სტუდენტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:33
დასრულების დრო: 17:56

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.2 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.3; 2.4; 2.5 და 2.6 ქვესტანდარტები ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შესაფებით მე-2 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.2 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.1 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.1 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;
2. რეკომენდირებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედგები და დაზუსტდეს კურსის შინაარსთან მიმართებაში;
3. რეკომენდებულია გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთ სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან;
4. დოქტორანტის მიერ შესრულებული სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც გამოქვეყნდეს ისეთ ჟურნალში ან საკონფერენციო მასალათა კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში ან Web of Science-ში. აღნიშნული გაზრდის დოქტორანტთა კვლევის შედეგების დონეს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო აკადემიურ წრეებში აღიარებასა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას;
5. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;
6. რეკომენდირებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდები დაზუსტდეს სილაბუსის შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისად;
7. რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება, სადოქტორო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა;
8. რეკომენდებულია სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს დოქტორანტის რელევანტური სამეცნიერო თემატიკის შერჩევა;
9. აკადემიური პერსონალისთვის წაყენებულ მოთხოვნებში აისახოს Scopus-ის, Web of Science-ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისი სამეცნიერო ჟურნალებსა და/ან კონფერენციათა მასალებში ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება;
10. პროგრამის ბიუჯეტში აისახოს დოქტორანტების კვლევების მხარდასაჭერად საჭირო დაფინანსება;
11. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

12. უცხო ენების დეპარტამენტმა, დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის შესაბამისი დოკუმენტის შეფასება (დადასტურება) განახორციელოს წერილობით (დოკუმენტის შექმნით), ასევე, დაწესებულებამ განსაზღვროს რელევანტური სერთიფიკატების ან სხვა დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი;
13. დოქტორანტობის კანდიდატთა გასაუბრების შეფასება განხორციელდეს არამარტო კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმებით, არამედ გასაუბრებაც შეფასდეს გაზომვადი კრიტერიუმებით.
14. სასწავლო კურსებს „გადაწყვეტილების მიღების მოდელები ეკონომიკაში“ და „ეკონომიკური უსაფრთხოება“, მათი შინაარსისა და შესასწავლი მასალიდან გამომდინარე, მოეხსნას წინაპირობა. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს უფრო მოქნილად (მობილურად) მოახდინოს სასწავლო კურსების არჩევა სემესტრების შესაბამისად;
15. უნივერსიტეტმა გაზარდოს ფინანსური მხარდაჭერა, რათა უფრო აქტიური გახდეს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში, საერთაშორისო მობილობებში და სხვა მსგავს პროექტებში მათი მონაწილეობა;

16. ფაკულტეტის ბიუჯეტში ცალკე პუნქტებად (ნათლად) გამოიყოს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - პუბლიკაციების, სტატიების გამოქვეყნებისას, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემისას, კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად (მხარდასაჭერად) საჭირო ფინანსური რესურსები;
17. თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ და სიღრმისეულად უნდა იყოს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი;
18. დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით;
19. სასურველია პროგრამის დადარება საერთაშორისო/ადგილობრივ ანალოგებთან პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

17:58- საბჭოს სხდომას შეუერთდა- ნინო ჭალაგანიძე

მეხუთე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		გადაწყვეტილება N17, 02.03.2020

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 77, თბილისი, 6 კორპუსი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ მეოთხე საკითხთან მიმართები თვითაცილება განაცხადეს, საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ემზარ კახიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ 21 ოქტომბერს ონლაინ შეხვედრები განხორციელდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, უსდ-ისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; მოხდა პროგრამის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ინტერვიუირება; შეფასდა 5.2 სტანდარტის თაობაზე დაწესებულებისთვის მიცემული რჩევა, რომელიც ითვალისწინებდა უსდ-ს უფრო მეტად განეხორციელებინა დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის. ამდენად, როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული, განახლებული პროგრამა შეფასებისათვის გაეგზავნა პარტნიორ დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, ასევე უკუკავშირი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან. სამუშაო დღის ბოლოს ჯგუფმა გასაუბრებების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს. 22 ოქტომბერს ჯგუფმა მოინახულა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია, პეტროგრაფიული კვლევის ლაბორატორია, მინერალოგიის ლაბორატორია, რენტგენოფლოურეცენტრული ლაბორატორია, გემოლოგიის ლაბორტორია, აგრეთვე ბიბლიოთეკა და ახლადგახსნილი სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიის ანალიზიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში უკვე ნათლადაა წარმოდგენილი საბაკალავრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირების პროცესი და თანმიმდევრობა. მოდერნიზებული საბაკალავრო პროგრამის ძირითადი და სპეციალიზაციის განმსაზღვრელი საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. დამატებულია არქეოლოგიის ყველა ქრონოლოგიური კურსი, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს დარგის შესწავლისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე მოდერნიზებულია დამხმარე ტექნიკური დისციპლინები, სადაც მოხდა შინაარსის, შედეგებისა და მიზნების თავსებადობა და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში დაშვების წინაპირობები (როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების, ისე ეროვნული გამოცდების გარეშე) ამომწურავად და სრულყოფილად იქნეს გაწერილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
2. უფრო გამჭირვალე უნდა გახდეს არქეოლოგიური პრაქტიკისათვის თანხის გამოყოფის მექანიზმი;
3. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი უფრო ინტენსიურად თანამშრომლობდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, შესაბამისი შეფასების შედეგების ანალიზი საფუძველზე კი ხორციელდებოდეს ღონისძიებების დაგეგმვა პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის ყველა რეკომენდაცია მისაღებია და შესაბამისად იქნება გათვალისწინებული. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა რომ რეკომენდაცია უფრო ტექნიკური ხასიათის იყო, ვინაიდან დაწესებულებას თითოეულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსხვავებული ფორმულირებით აქვს.

მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების სამსახურის პოზიცია დაემთხვა ექპერტთა ჯგუფის პოზიციას, ვინაიდან დაწესებულების ხარისხის განრითარების სამსახურს აღნიშნული უკვე ჰქონდა მხედველობაში მიღებული. პრაქტიკის განხორციელების ეტაპზე ჯერ-ჯერობით პრობლემა არ ყოფილა, თუმცა მან დამატებით აღნიშნა, რომ საკითხი საკმაოდ დიდი მნიშვნელობისაა.

დავით მახვილაძემ გაანცხადა, რომ დაწესებულება ასევე იზიარებდა მესამე რეკომენდაციას. და დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს რელაურად აკლია პროცესების ფორმალიზება და დოკუმენტურად ასახვა.
ინსტიტუცია ასევე სრულიად იზიარებს დასკვნაში განსაზღვრულ რჩევებს.

სასაბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ისაუბრა დასკვნაში არსებულ რჩევებზე, კერძოდ - ,, არქეოლოგიური პრაქტიკის განხორციელებისათვის უნივერსიტეტს ესაჭიროება უფრო მდგრადი პირობები" და ,,სასურველია, შეძლებისდაგვარად, ხელი შეეწყოს უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობას საველე საქმიანობასა და პრაქტიკულ ღონისძიებებში" და აღნიშნა, რომ პროგრამაში რაც ნამდვილად კარგი და მისასალმებელია, არის ის, რომ სავალდებულო კომპონენტად წარმოდგენილია ბევრი პრაქტიკული მიმართულების კურსი. მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს აქვს თუ არა ყველა სტუდენტს მსგავს პრაქტიკულ ნაწილში ჩართვის შესაძლებლობა და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისა და განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მიღწევადობასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში არც რჩევა და არც რეკომენდაცია არ არის განსაზღვრული. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევა განსაზღვრული სასწავლო კურსებით ეჭვს ბადებს, მაგალითად მე-7 სწავლის შედეგი, რომეიც გულისხმობს გუნდური მუშაობის და დროის ეფექტიანი მართვის საკითხებს , მიიიღწევა ისეთი სასწავლო კურსებით, როგორიც არის მასალათმცონდეობა, არქეოლოგიის შესავალი, მუზეუმთმცოდნეობა და რიგი სხვა. თუ მოცემულ სასწავლო კურსებს ჩავხედავთ, კურსის სწავლის შედეგები, არ შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, არც შინაარსი არც გამოკითხვისა და შეფასების მეთოდები არ არის შესაბამისობაში მოცემულ სწავლის შედეგებთან. შესაამისად, ვერ იძლევა რელევანტური დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხულია ორი ორგანიზაცია , შესაბამისად დააზუსტა, თუ რამდენად იძლევა მოცემული კვლევა წარმოდგენას და არის თუ არა აღნიშნული კვლევა რელევანტური. გარდა ამისა, არ არის განსაზღვრული პროგრამული ბიუჯეტი, მოცემულია მხოლოდ ფაკულტეტის ბიუჯეტი, რაც აბსოლუტურად არარელევანტურია მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ფაკულტეტი არის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიების და სოციოლოგიის. შესაბამისად, აღნიშნულიდან დიდ სირთულეს წარმოადგენდა დასკვნის გამოტანა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მდგომარეობა იყო არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ მე-11 დანართის სახით დაწესებულების მხრიდან წარმოდგენლი იყო პროგრამული ბიუჯეტი.

შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუტციის მიერ გამოკითხული ორი უმსხვილესი ორგანიზაცია არქეოლოგიის მიმართულებით, სადაც გაერთიანებულია მთელი ინფორმაცია და ცოდნა.

არქეოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა, მერაბ ძნელაძემ პრაქტიკულ ნაწილში სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უკლებლივ ყველა სტუდენტი არის ჩართული პრაქტიკულ მეცადინეობებსა და სამუშაოებში.

პროგრამის მომზადებაში ჩართული ყველა პროფესიონალის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული და ურთულესი დარგის, არქეოლოგიის, მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული სპეციალისტების აღზრდა, რადგან კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის კვალად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დაცვა, გაფრთხილება და მართვის ეთიკური პოლიტიკის ერთგულება.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამის შესახებ ორი შეფასება, აქედან გამომდინარე საბჭოს წევრმა დააზუსტა აქვს თუ არა დაწესებულებას გამოკვლეული უცხოელი კოლეგების აზრი. გარდა ამისა დაინტერესდა აქვს თუ არა დაწესებულებას ბენჩმარკინგის დოკუმენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ჰქონდათ კომუნიკაციის მცდელობა უცხოელ კოლეგებთან, თუმცა მათგან უკუკავშირი დროის უქონლობის გამო არ მიუღიათ.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი არც პროგრამის ბიუჯეტი და არც ბენჩმარკინგის დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ექსპერტები გაეცნენ პროგრამის ბიუჯეტს, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობდა გარკვეული ხარვეზი, რის შედეგადაც საკითხთან დაკავშირებით განისაზღვრა რეკომენდაცია. რაც შეეხება ბენჩმარკინგის დოკუმენტს, ექსპერტებს აღნიშნული არ მიწოდებიათ და შესაბამისად არ ჰქონიათ გაცნობის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ ასევე ისაუბრა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აუცილებლად გადაიხედება სწავლის შედეგებთან მიმართებით არსებული პრობლემური საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ისაუბრა პრატქიკულ ნაწილთან მიმართებით შემუშავებულ რჩევასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პირველი და მეორე კურსის ყველა სტუდენტს არ ჰქონდა აღნიშნული პრაქტიკული კურსი გავლილი სილაბუსის მიხედვით გათვალისწინებული განრიგით, თუმცა აღნიშნული ახსნილი იყო პანდემის მდგომარეობით და დაწესებულების მიერ იყო პასუხი, რომ აუცილებლად მოხდება მოცემული მდგომარეობის გამოსწორება. ამასთან ერთად მეორე პრობლემას წაროადგენდა ის რომ საკითხი ვერ გამოსწორდებოდა დროის მოკლე ვადაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა სტუდენტი გადაყვანილია ინდივიდუალურ გრაფიკზე და ის, რომ მოცემულ ეტაპზე გავლილი ჰქონდათ საველე პრაქტიკა სტუდენტების ნაწილს, არ ნიშნავს იმას, რომ მეორე ნაწილი არ გავა მოცემულ სწავლის შედეგზე. რეგულაციებიდან გამომდინარე ობიექტურობაა, რომ 15 ზე მეტ სტუდენტიანი ჯგუფების შემთხვევაში რთულია უსაფღტხოების ზომების დაცვა. თუმცა აღნიშნული გარემოება არ არის დაბრკოლება სტუდენტებისთვის, რომ ისინი გავიდნენ მოცემულ სწავლის შედეგზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:00
დასრულების დრო: 19:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.2 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.3; 2.5; და 2.6 ქვესტანდარტები ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებით მე - 2 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“

შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.3 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებით მე - 5 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;
2. რეკომენდირებულია, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში დაშვების წინაპირობები (როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების, ისე ეროვნული გამოცდების გარეშე) ამომწურავად და სრულყოფილად იქნეს გაწერილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
3. რრეკომენდირებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედგები და დაზუსტდეს კურსის შინაარსთან მიმართებაში;
4. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;
5. რეკომენდირებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდები დაზუსტდეს სილაბუსის შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისად;
6. უფრო გამჭირვალე უნდა გახდეს არქეოლოგიური პრაქტიკისათვის თანხის გამოყოფის მექანიზმი;
7. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი უფრო ინტენსიურად თანამშრომლობდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, შესაბამისი შეფასების შედეგების ანალიზი საფუძველზე კი ხორციელდებოდეს ღონისძიბების დაგეგმვა პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის;
8. რეკომენდირებულია პროგრამის დადარება საერთაშორისო ანალოგებთან პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

რჩევები:

9. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
10. სასურველია პროგრამაში აისახოს ხაზვის საკითხები;
11. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, უფრო კონკრეტულად კი უცხოურ ენაში - ინგლისურში, ჩვენი აზრით, ჩასამატებელია პროფესიული დარგობრივი ენის სწავლის კურსი, რაც კიდევ უფრო განავითარებს სწავლების ინტერნაციონალიზაციას და ხელს შეუწყობს უცხოური ლიტერატურის გამოყენებისა და გაგების ზრდას. ასევე ყურადღებაა გასამახვილებელი კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ უფრო ფუნდამენტურ შესწავლაზე. არქეოლოგიურ პრაქტიკას კი განხორციელების უფრო მდგრადი პირობები სჭირდება;
12. სასურველია, დაჩქარდეს პლაგიატის პროგრამის დანერგვისაკენ მიმართული ღონისძიებები, რათა მოხდეს სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით შესრულება;
13. შემლებისდაგვარად სასურველია ხელი შეეწყოს უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობას საველე საქმიანობასა და პრაქტიკულ ღონისძიებებში;
14. ზოგიერთ სპეციალიზაციის განმსაზღვრელ საგანში, უპრიანი იქნებობა მოწვეული პროფესიონალების გამოყენება, რაც კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; მიგვაჩნია, რომ აუცილებელია პროგრამის ხელმძღვანელის კიდევ უფრო მჭიდრო

კომუნიკაცია ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან. ასევე მნიშვნელოვანია სწავლების ინტერნაციონალიზაციის კუთხით მეტი ძალისხმევის გამოჩენა;
15. სასურველად მიგვაჩნია არსებული ლაბორატორიების შემდგომი ტექნიკური მოდერნიზაცია;
16. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განსაზღვრისა და პრაქტიკაში გამოყენების წესის ერთიანი აქტის დამტკიცება და შემდგომ დანერგვა, რომელიც სავალდებულოდ მოაწესრიგებს კანონმდებლობით დადგენილ პროცესებს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის და რომელიც დაადგენს ამ მექანიზმების გამოყენების სავალდებულო პროცედურებს, მათი განხორციელების წესებსა და პასუხისმგებელ სუბიექტებს;
17. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს გარე შეფასების მექანიზმების (დამსაქმებელთა ჩართულობა, კოლეგიალური შეფასება, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა) რეგულარულად და უფრო მეტი ინტენსივობით და აღნიშნული მექანიზმების გამოყენებას არ ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი, კონკრეტულ პერიოდში აკრედიტაციის პროცესის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

19:20 - საბჭოს სხდომა დატოვა ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინოიმნაძე.

19:25 - საბჭოს სხდომას შეუერთდა ნინო ინასარიძე

მეექვსე საკითხი : შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N761, 11.12.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქუჩა 1, 0102, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

დიანა მჭედლიშვილმა მეექვსე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ლილი ხეჩუაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის“ შეფასება 2021 წლის 7 ოქტომბერს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარშემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა 5 და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა. აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. არჩევითი კურსების გაერთიანებებს, რომლებსაც პროგრამაში „კონცენტრაცია“ ეწოდება, მოეძებნოს მეტად შესატყვისი სახელწოდება, რომელიც კურსების ამ ერთობლიობების მოქნილ და არჩებით ბუნებას უკეთ ასახავს.
2. გარდა ამ გამოკითხვებისა და შეფასებებისა, უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხი, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტები, რათა დეტალურად იყოს ცნობილი, რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა. კვლევის ანალიზი საშუალებას მისცემს უსდ-ს შეისწავლოს უნივერსიტეტიდან სტუდენტთა გადინების მიზეზები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში, ხოლო მობილობით გადმოსულ სტუდენტთა გამოკითხვა დაეხმარება ინსტიტუციას შეისწავლოს სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის არჩევის ფაქტორები, მოლოდინები, შეაფასოს უნივერსიტეტის იმიჯი, ცნობადობა სამიზნე აუდიტორიაში. ამრიგად, რეკომენდებულია სისტემატური კვლევით შეგროვილი მონაცემების მეტად შინაარსობრივი და დეტალური ანალიზის განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით ნატროშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსების მიმართ სახელწოდების „კონცენტრაცია“ გამოყენებამ გაორებული წარმოდგენა შექმნა იმასთან დაკავშირებით, თუ რეალურად რას მოიაზრებს სწავლების მეოთხე ეტაპზე პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც დარგობრივი პრინციპით არის დაჯგუფებული. აღნიშნულთან დაკავშირებით გვსურს დავაზუსტოთ, რომ საგნების დარგობრივი პრინციპით დაჯგუფება არ ისახავს მიზნად სტუდენტებისთვის მათ შეთავაზებას „კონცენტრაციების“ სახით, ისე, როგორც ეს კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით არის გათვალისწინებული, არამედ თითოეული მათგანი წარმოადგენს არჩევითი საგნების ერთგვარ ბლოკს, ერთობლიობას, საიდანაც სტუდენტს შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ და ინტერესების გათვალისწინებით აირჩიოს და გაიაროს საგნები, მათ შორის არა მხოლოდ ერთი, არამედ სამივე ბლოკიდან/მოდულიდან. იმისათვის, რომ დღის წესრიგიდან მოიხსნას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახელწოდებიდან გამომდინარე ბუნდოვანება, თუმცა დაწესებულება მზად არის გაითვალისწინოთ ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, არჩევითი დარგობრივი სასწავლო კურსების ერთობლიობას დაარქვას „მოდული“ ან რაიმე სხვა შემოთავაზებული სახელი. მიუხედავად სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით დაწესებულების მზაობისა, ინსტიტუცია მიჩნევს, რომ აღნიშნული შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც რჩევა და არა როგორც რეკომენდაცია.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით ნატროშვილმა განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი და, შესაბამისად, სკოლა ყოველთვის ახორციელებს შიდა და გარე მობილობით სტუდენტთა გადინების ანალიზს და წარუდგენს მას უნივერსიტეტის პრეზიდენტს და უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს. მმართველ საბჭოს მიეწოდება ინფორმაცია თითოეული გადამსვლელი სტუდენტის შესახებ. მმართველი საბჭო განიხილავს მიზეზებს და გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. აღნიშნულის შესახებ სკოლის და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან შეხვედრაზეც ისაუბრეს და დაასახალეს სტუდენტთა გადასვლის ძირითადი მიზეზები. აღნიშნული მიდგომა გავრცელებულია უნივერსიტეტის სხვა სკოლების შემთხვევაშიც. არსებობს ამის დამადასტურებელი ანგარიშები. ამდენად, სისტემატიურად ხორციელდება მონიტორინგი და სიტუაციის ანალიზი. შესაბამისად, დაწესებულებისთვის ბუნდოვანია, თუ რას ეფუძნება აღნიშნული რეკომენდაცია. გარდა ამისა, სტუდენტთა გარე მობილობით გადასვლა

ძირითადად ხდება მათ მიერ პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ და გადინების ძირითადი მიზეზია მათი დაბალი აკადემიური მოსწრება, რაც დაკავშირებულია უნივერსიტეტში დაწესებულ მინიმალურ კომპეტენციის ზღვართან. განათლების მაღალი მაჩვენებელი უნივერსიტეტის პოლიტიკის ნაწილია და ამ „თამასის“ დაწევა არ განიხილება, ვინაიდან დაწესებულების სამიზნე ნიშნული არა სტუდენტთა რაოდენობა, არამედ ხარისხიანი სწავლებაა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში არ არის განსაზღვრული თუ რამდენი დამსაქმებელი იქნა გამოკითხული და რა ფორმით. გარდა ამისა, თუ გამოკითხულთა რაოდენობა დაბალი იყო შეგვიძლია თუ არა მოცემული კვლევა მივიჩნიოთ რელევანტურად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით ერთ-ერთ კონცენტრაციაა ადამინური რესურსის მართვა, სადაც მოცემულია რამოდენიმე სილაბუსი, მათ შორის ,,ადამიანური რესურსების მართვა“, ,,პროექტების მართვა“, რომლებიც განსაზღვრულია წინაპირობების გარეშე. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად მიღწევადია ეფექტიანად სწავლის შედეგები წინაპიროების გარეშე და ზოგადად ორგანიზაციის მართვის საკითხები კიდევ რომელ სილაბუსებშია გათვალისწინებული. აქვე აღსანიშნავია ,,ორგანიზაციული ფსიქოლოგიის“ სასწავლო კურსი, რომელსაც წინაპირობად განსაზღვრული აქვს ,,ფსიქოლოგიის საფუძვლები“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუ თარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ნატროშვილმა შრომის ბაზრის კველვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პაკეტში უნდა იყოს წარმოდგენილი დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგი, სადაც მოცემული იყო რომ გამოიკითხა ხუთი მსხვილი ორგანიზაცია. შესაბამისად, მათი გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდა გარკვეული ანალიზი იმასთან დაკავშირებით თუ რა მოთხოვნები აქვთ დამსაქმებლებს მოცემულ სფეროში დღეს.
რაც შეეხება წინაპირობების საკითხს, ის სასწავლო კურსები, რომლებიც აღინიშნა საბჭოს წევრის მიერ წლების განმავლობაში ისწავლება უნივერსიტეტში. რა თქმა უნდა დაწესებულება ახორციელებს მოცემული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებზე გასვლის საკითხებს. სწავლის შედეგები არის სრულიად მიღწევადი და ამ კუთხით არ არსებობს არანაირი ხარვეზი. შესაბამისად, დაწესებულებაში არ ყოფილა იმის აუცილებლობა, რომ მოცემული სასწავლო კურსების ათვისების მიზნით განსაზღვრულიყო წინაპირობები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:33
დასრულების დრო: 19:51

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 5.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია არჩევითი კურსების გაერთიანებებს, რომლებსაც პროგრამაში „კონცენტრაცია“ ეწოდება, მოეძებნოს მეტად შესატყვისი სახელწოდება, რომელიც კურსების ამ ერთობლიობების მოქნილ და არჩებით ბუნებას უკეთ ასახავს;

რჩევები:
2. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
3. სასურველია ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგიის მიმართულების ცალკეულ სასწავლო კურსებში (ადამიანური რესურსების მართვა, პროექტების მართვა და პერსონალის შერჩევა) დაზუსტდეს წინაპირობა ან შეივსოს სწავლის შედეგების შესაბამისი რელევანტური საკითხებით;
4. გადაიხედოს და განახლდეს პროგრამაში შემავალ კურსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა ისე, რომ არ ხდებოდეს წყაროების დუბლირება სხვადასხვა კურსის ფარგლებში;
5. კვლევით საქმიანობაში (საბაკალავრო თემის ხელმძღვანელად) ჩართული იყოს მხოლოდ ის პერსონალი, რომელსაც კვლევითი მიმართულებით სათანადო გამოცდილება გააჩნიათ და ფლობენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია.

მეშვიდე საკითხი : შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,სტრატეგიული კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტრატეგიული კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N764, 11.12.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0414 - მარკეტინგი და რეკლამა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქუჩა 1, 0102, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

დიანა მჭედლიშვილმა მეშვიდე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სტრატეგიული კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ლელი ბიბილაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისათვის, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 15 ოქტომბერი. ქვეყანაში არსებული პანდემიის ვითარებიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის გაცნობისა და ანალიზის საფუძველზე, პროგრამის შეფასება, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსადა დამსაქმებლებთან ინტერვიუ, ასევე შესაბამისი მატერიალურირესურსის დათვალიერება განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, zoom-ის პლატფორმის მეშვეობით.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სტრატეგიული კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. აუცილებელია, სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მინიმალური კომპეტენციის ზღვრები;
2. აუცილებელია, გადაიხედოს სილაბუსებში შემავალი ძირითადი ლიტერატურა და გამდიდრდეს დარგში არსებული უახლესი, სამაგისტრო დონის ადექვატური ლიტერატურით;

3. რეკომენდირებულია, უსდ-მ დროულად და ეფექტიანად აამოქმედოს უსდ-ს მიერ შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მხარდამჭერი პროცედურები, რომელიც უზურნველყოფს მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ქმედით ხელშეწყობას და პერსონალის უწყვეტ განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟიჟილაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ნინო ჟიჟილაშვილმა განმარტა, რომ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა სილაბუსების ავტორებთან ერთად გადახედა სასწავლო კურსების სილაბუსებს. მიუხედავად იმისა, რომ საგნების დიდ ნაწილში ლექტორები იყენებენ დარგში არსებულ უახლეს ლიტერატურას და აქვთ გამართული სილაბუსები, ლექტორები კიდევ უფრო მეტად გაამრავალფეროვნებენ ძირითადი ლიტერატურის ნუსხას და შეიტანენ რიგ სილაბუსებში აქტუალურ სამეცნიერო სტატიებს, მით უფრო მაშინ, როცა უნივერსიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის სხვადასხვა სამეცნიერო ბაზაზე წვდომა. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლება მუდმივი პროცესია და ეს უნივერსიტეტის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

მესამე რეკომენდაცასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტმა მიმდინარე წელს შეიმუშავა და დანერგა კვლევითი პოტენციალის გაზრდისა და ხელშეწყობის ეფექტური მექანიზმი, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა არსებული მდგომარეობა. შემუშავდა ახალი ტიპის კონტრაქტები აკადემიური პერსონალისთვის. კონტრაქტით განისაზღვრა შესაბამისი ვალდებულებები და შემუშავდა საბონუსე სისტემა სამეცნიერო და კველვითი აქტივობებისთვის. შესაბამისად, ყოველივე ეს მკვეთრად გააუმჯობესებს შედეგებს და გაზრდის აკადემიური პერსონალის ჩართვას სამეცნიერო აქტივობებში. კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესის დამტკიცების შესახებ" დებულებაში განსაზღვრულია პერსონალის დაწინაურების სქემა და შესაბამისი საფეხურები, რომელიც ხელშეკრულების ტიპების მიხედვით განისაზღვრება. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს დებულება „კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესისა და პროცედურის შესახებ“, რომლის

ფარგლებშიც შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე კვლევითი პროექტების განაცხადების შემოტანა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ. ასევე, აკადემიურ პერსონალს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო პროექტების მომზადებაში ადმინისტრაციული მხარდაჭერა, შესაბამისი ტრენინგებით და ყველა საჭირო პროცედურის უზრუნველჰყოფით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა განხილულია მენეჯენტისა და ადმინისტრირების ქვეშ, მოცემული ცხადია აჩენს გარკვეულ კითხვებს. უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რამდენად შეესაბამება განმარტება, რომელიც არის მოცემული სწავლის სფეროების კლასიფიკატორში პროგრამის შინაარსს. გარდა ამისა, ზოგიერთი სასწავლო კურსი ნაკლებად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი იყო სამი სამაგსიტრო ნაშრომი, საიდანაც ერთ-ერთი შეფასებული იყო უმაღლესი 100 ქულით. მოცემული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში მითითებულია 20 წყარო, სადაც გვხვდება როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ვებ-საიტები, როგორიცაა მაგალითად ვიკიპედია. შესაძლოა ეს წყაროები სჭირდებოდეს სტუდენტეს როგორც გასაანალიზებელი მასალა, მაგრამ უმჯობესია მოხდეს გამიჯვნა. გარდა ამისა, პრობლემები იყო ციტირებასთან დაკავშირებითაც.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ,,პროექტების მართვის“ სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია სტალინის ნაშრომი, რაც საბაკალავრო დონის სახელმძღვანელოა. ასევე საინტერესოა, რომ თუ ეს პროგრამა განხილული უნდა იყოს 0414 მარკეტინგი და რეკლამა დეტალური სფეროს ფარგლებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით საკვანძო საკითხები სად იფარება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟიჟილაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამას მედიასთან აკავშირებს მხოლოდ ის, რომ მედიის სკოლის ფარგლებში ფუნქციონირებს. დაწესებულებამ რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამა შესაბამისობაში მოიყვანა ახალ ჩარჩოსთან. მნიშვნელოვანია, რომ მოცემული პროგრამა შეისწავლის ორგანიზაციებს და გადის საზოგადოებასთან ურთიერთობის კვალიფიკაციაზე. პროგრამა მუშავდება იმგავრად, რომ ის ხელმისაწვდომი და დაძლევადი იყოს ყველასთვის.

მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუცია მიმართულია სფეროს ისეთი კვალიფიციური წარმომადგენლების მომზადებისკენ, რომელთაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, ცოდნა და უნარები იმისთვის, რომ იყვნენ წარმატებული პროფესიონალები და საკუთარი წვლილი შეიტანონ კომუნიკაციის სფეროს განვითარებაში. პროგრამის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში მუდმივია კავშირი ინდუსტრიასთან, ამიტომ სტრატეგიული კომუნიკაციის უკვე განახლებული პროგრამის მიზნები მორგებულია ბაზრის მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, აქცენტი კეთდება სტრატეგიული კომუნიკაციებისა და კვლევების ნაწილზე.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომების საკითხს, იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებამაც ჩათვალა, რომ რიგი საკითხები იყო გასაუმჯობესებელი, მოხდა სამაგისტრო ნაშრომის წერის სტანდარტის განახლება, სადაც დეტალურად გაიწერა, მათ შორის ლიტერატურისა და

წყაროების რაოდენობა და რა თქმა უნდა ციტირების წესი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთოერთობის სტრატეგიის საკითხები საკმაოდ მრავლად არის პროგრამაში გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ კავკასიის მედიის სკოლაში საანგარიშო პერიოდში დაფუძნდა მედიის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც რეგულარულად იღებს მონაწილეობას კვლევით კონკურსებში და დაკავებულია კონკრეტული პროექტების აღსრულებით. მედიის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული განვითარებისა და კვლევის მიმართულებებისთვის გამოყოფილი დაფინანსებით. ცენტრის ფარგლებში მუდმივად ტარდება ტრენინგები, ციტირების წესს, ლიტერატურასა და სამცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა თითოეული სილაბუსი შეისწავლეს საკმაოდ დეტალურად. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია ასევე პრაქტიკის კომპონენტი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის საკითხები, საკმაოდ ბევრ სასწავლო კურსში არის ინკორპორირებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:34
დასრულების დრო: 21:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.4 და 2.6 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებით მე - 2 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:
1. აუცილებელია, სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს შეფასების ფორმები და კრიტერიუმები კურსის შინაარსის და მისაღწევი შედეგების შესაბამისად;
2. აუცილებელია, გადაიხედოს სილაბუსებში შემავალი ძირითადი ლიტერატურა და გამდიდრდეს დარგში არსებული უახლესი, სამაგისტრო დონის ადექვატური ლიტერატურით;
3. რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან;

4. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიული მართვის საკითხებით;
5. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სამეცნიერო ლიტერატურა;

6. რეკომენდირებულია უსდ-მ დროულად და ეფექტიანად აამოქმედოს უსდ-ს მიერ შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მხარდამჭერი პროცედურები, რომელიც უზურნველყოფს მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ქმედით ხელშეწყობას და პერსონალის უწყვეტ განვითარებას.

რჩევები:

7. სასურველია პროგრამაში ან ცალკე დოკუმენტის სახით გაიწეროს უფრო დეტალურად მიღების კრიტერიუმები;
8. სასურველია კურსებში გაიზარდოს პრაქტიკული აქტივობების წილი;
9. სასურველია, უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უფრო მეტი სტუდენტი დაინტერესდება სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამისთვის განკუთვნილი სტაჟირების გავლით;
10. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, უსდ-მ მოახდინოს გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია, სტუდენტებს შესთავაზოს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში, კვლევასა თუ კონფერენციაში მონაწილეობის შესაძლებლობა და შეიმუშაოს მექანიზმი ამ აქტივობებში მათ ჩასართავად;
11. სასურველია, დაზუსტდეს მაგისტრანტთა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა თანაფარდობა;
12. დარგში არსებული სპეციფიკის მიუხედავად, სასურველია, პროგრამის მდგრადობის მიზნით, ეტაპობრივად გაიზარდოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის განმახორციელებელი აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
13. სასურველია, „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში ნათლად იყოს ფორმულირებული აქვს თუ არა უფლებამოსილება უსდ-ს, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოიწვიოს (ღია კონკურსის გარეშე გაუფორმოს ხელშეკრულება) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე მიღების პროცედურის კიდევ უფრო გამჭირვალობას;
14. სასურველია, უსდ-მ ეფექტიანად აამოქმედოს მოწვეული და აკადემიური პერსონალის მიერ სხვა უსდ-ში დატვირთვის მაჩვენებლების კონტროლი “კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესის“ თანახმად;
15. სასურველია ანტიპლაგიატის პლატფორმის Turnitin-ის გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი;
16. სასურველია უსდ-მ გააძლიეროს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი და გამოიყენოს მონაცემები სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით;
17. სასურველია გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,სტრატეგიული კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ